სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური შეიქმნა 2022 წელს, რომელიც საბოლოოდ დაკომპლექტდა 2022 წლის ოქტომბერში. სამსახური სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 აპრილის №49 დადგენილების მიხედვით ახორციელებს ინფრასტრუქტურული პროექტებზე ზედამხედველობას და ზედამხედველობის სამსახურისთვის დაკისრებული სხვა მოვალეობებს, კერძოდ; სანებართვო პირობების დარღვევის გამოვლენა, პრევენცია და აუცილებელი საჭირეობის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების გატარება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიის შემოვლა სამშენებლო და მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანების შემთხვევების გამოსავლენად. გამოვლენის შემდეგ ხდება დამნაგვიანებლის გაფრთხილება, მითითებისა და გონივრული ვადის მიცემა დანაგვიანებული ტერიტორიის დასასუფთავებლად. ასევე ხორციელდება სხვა და სხვა სახის ადმინისტრაციულ დარღვევებსა და მოქალაქეთა მომართვებზე რეაგირება. სამსახურის სპეციალისტებით დაკომპლექტებული მობილური ჯგუფები პერმანენტულად გადიან მშენებარე ობიექტებზე მონიტორინგის მიზნით სამსახურის უფროსის მიერ წინასწარ შედგენილი მარშრუტით და გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების ფარგლებში მერიის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაგეგმილი თანხის ფარგლებში (გეგმით 180 000 ლარი) შემოსული იქნა **197 829** ლარი. ასევე შეთანხმება შედგა 31 მეწარმე სუბიექტთან მოსაკრებლის დავალიანების გადახდის 1 წლის პერიოდზე გადანაწილებაზე, საერთო თანხით 20 657 ლარი. 46 სუბიექტზე, მათ მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტის საგადასახადო ან სხვა კომპენტეტური სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცემული ადმინისტრაციული სამართლებლივი აქტების საფუძველზე განხორციელდა 34 371 ლარის ჩამოწერა.

ასევე 2022 წლის ბოლოს განხორციელდა ბილინგის პროგრამის შეძენა და მიმდინარეობს მისი დანერგვა, ბიზნეს სუბიექტებისთვის აბონენტის ნომრის მინიჭება. რაც საბოლო ჯამში ხელს შეუწყობს მოსაკრებლის ადმინისტრირება უფრო სრულყოფილი, ოპერატიული, დაცული და მომხმარებლებისათვის კომფორტული გახდეს.

2022 წელს ზედამხედველობის სამსახურში მიღებულ იქნა 565 სხვადასხვა სახის ელექტრონული კორესპონდენცია, რომლებზედაც განხორციელდა შესაბამისი რეაგირება კანონით დადგენილ ვადებში.